ISSN 0132-6015

ნიანგი

5

მაისი
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

სარვამარტო მილოცვა დედებს

დედებო! ზეიმს გილოცავთ! თქვენი ზეიმი დღეს არის!
ადამიანთა ცხოვრების სინათლით ხართ გამლექსავი!
თქვენნა ხართ ფუძე ოჯახის!.. ვისმენ რვა მარტის მოძახილს:
— სინონიმური ცნებები არის ქალი და ოჯახი!
და უფრო მეტიც, — არ ხარის რქაზე, ვით იტყვის მელექსე, —
ეს დედამიწაც ვეება დგას თქვენს უთბილეს ხელებზე!
ეს დედამიწაც ვეება, — გეტყვით თქვენ ეამთა ტრფიალებს, —
არ ღერძის ირგვლივ, — ის თქვენი გულების ირგვლივ ტრიალებს!
თვით დედამიწას თქვენივე სახელი ჰქვია ქართულად,
თქვენი სეხნია, სივრცეში რომ მიქრის მხრეაღმართულად,
ჩვენი საერთო დედაა — პლანეტა გულმკერდხატულა!
თქვენივე სუნთქვით დაქრიან დღენი სიცოცხლის ზვირთებად
და სახლის ჭერქვეშ ცეცხლიც კი თქვენს თვალთა შუქით ინთება,
და, რაიც უფრო ტკბილ არის, მოსილს თქვენივე ალერსით —
აკვანს, ვით ხომალდს, აცურებთ სიცოცხლის ოკეანეში!...
თქვენ ხართ სიცოცხლის საწყისი — ხოტბა-დიდების საგანი,
დე, მოდგმას მოდგმა უმატეთ, უმატეთ აკვანს აკვანი!
უმატეთ! კერის სიმძლავრე თქვენს ღვწას და ამაგს ენდობა,
ნუ მოეშალოს სამშობლოს თქვენი ჯანსაღი დედობა!

გიორგი შეთეკაური

ნახ. ბ. აბაშიძისა

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

— ვერ ვნახე, დაკარგულიყო!..

განცხადებები

ლამაზ და ენერგიულ ქალს, დაახლოებით 57 წლისას, ცისფერთვალასა და ქერათმიანს, რომელიც სულ რაღაც ოთხჯერ იყო გათხოვილი, სურს თავისი ბედი დაუკავშიროს დაახლოებით 87 წლის მამაკაცს, პერსონალურ პენსიონერს, რომელსაც აქვს სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ქალაქის ცენტრში აუზითა და ბაღით. მსურველებს ვთხოვ გამოგზავნონ ფოტოსურათი ბაღისა და სახლის ფონზე (ქალის სახელი და გვარია **გოგონა უბედოშვილი**).

X X X

92 წლის ენერგიულ და საკმაოდ ელეგანტურ მამაკაცს **ბიჭიკო ბერბიჭაშვილს** სურს გაიცნოს 50 წლის მოქნილი და ეგზოტიკური გარეგნობის შავგვრემანი, თმახუჭუჭა ქალი. სასურველია ქალი იყოს პერსონალური პენსიონერი საკუთარი ბინით, ძაღლით, „ვოლგითა“ და აგარაკით. აუცილებლად უნდა იცოდეს კარტოფილის გაფცქვნა, სარეცხის ხარშვა, კარ-ფანჯრებ-ქვაბების ხეხვა, აგრეთვე ხალიჩების ფერთხვა მეზობლების აივნის თავზე სიცილ-კისკისით, გაგიყებით უნდა უყვარდეს ფეხბურთი, ქმრის ბუზღუნი და ხვრინვა. ამასთან სასურველია ეწეოდეს „მარლბოროს“ და ჩახლეჩილი ხმით მღეროდეს „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“

ლია სვანიძე

ვინ რა პატივს სცემს ცოლს სარვამარტოდ

კომბინატორი: — იმდენ საჩუქარს ვყიდულობ, თხუთმეტი წელი რომ ეყოფა, წინასწარ ვიჭერ თადარიგს, ხომ იცით, ცალი ფეხი სად მიდგას?!.

სპეკულანტი: — ქურქში ვახვევ, მაშ კლიენტებს რისთვის ვახვევ?!

ანონიმისტი: — ვუძღვნი ფარდებჩამოუფარებელ ოთახში მარჯვენა ხელით შევსებულ მისალოცს.

შოთა ქელეხსაშვილი
(ქარელი)

ფანტაზია

● **ბედნიერების** ფაი ორი კაპიკია. თუ იგი ტელეფონ-ავტომატით დალაპარაკებაზეა დამოკიდებული.

● **თუთიყუში** მშვენივრად ბაძავდა ალა პუგაჩოვას სიმღერაში, მაგრამ არა გამოუდიოდა რა.

● **ქალთა** სქესი თითქოს სუსტია, მაგრამ ძლიერი სქესი ჯერჯერობით მასთან ვერაფერს გახდა.

● **მოტოციკლეტი,** რა თქმა უნდა, მანქანაა, მაგრამ, აბა, სცადე ამაში მოტოციკლისტის ცოლის დარწმუნება?!

● **თუ ქალი** ამბობს — „არა!“ — ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი თანახმაა მოგელაპარაკოთ!

● **ოჭროს** ქორწილამდე რომ გაძლო, რკინის ხასიათი უნდა გქონდეს!

● **ემანსიპაციის** დევიზი: „ყოველი დედა ოჯახის მამაა!“

● **სუსტი** სქესიაო და — რამდენ ძალას გვართმევს!

„ლიტერატურნაია გაზეტა“

დიალოგი

— როდის ლაპარაკობენ ქალები ყველაზე ცოტას?

— თებერვალში! — მოკლე თვეა!

ჟურნალი „კროკოდილი“
თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა

„ნიანგის“ სალაღობო მიკროფონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ღვაწლმოსილ მდივან-მემანქანეს. საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს სოფიო (სონია) ციციშვილს

თექვსმეტი წლისა მოხვედი
შენ სამუშაოდ „ნიანგში“,
მოსვლისთანავე გაზარდე
მისი პრესტიჟიც, ტირაჟიც!..
სამოცდაერთი წელია,
ვერ ძლებ „ნიანგის“ გარეშე!..
ახლა რამდენი წლისა ხარ,
შენ თვითონ იანგარიშე!
რედაქციაში დაუღლელ
დიასახლისად ტრიალებ,
ხარ მისი ჭირისუფალი
და მისი მემატიანე!..
გალაკტიონის კარნახით,
მისი ღვთიური ხმის თრთოლვით
შენ გადაბეჭდე პირველმა
თექვსმეტი ოქროსტრიქონი:
„რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი...“
ბეჭდვა მუსიკად მოესმა
პოეტს (მუსიკით იწვოდა!..)
და **როიალზე დამკვრელი**
თავადის ქალი გიწოდა!
უკვდავმა ნოდარ დუმბაძემ
თავიდან ასე ინება:
თავის ნაწერებს შენს გარდა
არავის აბეჭდვინებდა!..
წლების მანძილზე მშრომელთა
წერილებს ანაწილებდი,
კორექტორობდი!.. „ნიანგსაც“
სულ ჰქონდა შენი იმედი!
დღეს რედაქციის გამგეც ხარ,
მისი საქმეთა მმართველიც!..
არც ერთ ნიანგელს არა გვაქვს
თანამდებობა ამდენი!
მიუწვევიხართ მოსკოვში
კორექტორ-მემანქანედა,
ერთხელ კი არა, მრავალჯერ
გახსნილი გქონდა მწვანე გზა!
შენ წუთში ბეჭდავ ოთხასი,
ხუთასი ნიშნის სიჩქარით!..
ხარ სტილის, ორთოგრაფიის,
პუნქტუაციის მისანიც!..
თან ავტორს ესაუბრები,
თან ტექსტს უსწორებ, თან ბეჭდავ
და ერთდროულად აკეთებ
სამ სასარგებლო საქმესა!
მწამს: მბეჭდავ მემანქანეთა
მსოფლიო პირველობაზე
შენ ჩემპიონი გახდები! —
ღმერთი ამასაც მომასწრებს!
ლუკმაპურს უყოფ მოყვასებს,
გაჭირვებულებს, ღარიბებს!..
შეუსვენებლად მუშაობ,
შვებულებასაც არ იღებ!..
ხარ ყველას შემწე, მშველელი,
შემწყნარებელი, დამხმარე!..

„ნიანგში“ ყველა ახალი
ავტორის მოსვლა გახარებს!
შენ ლექსიც ბევრი მოგიძღვნეს,
წერილიცა და ნარკვევიც!..
მთავრობის ჯილდოც ბევრი გაქვს,
აგსრულებია ნატვრებიც!..
უმადურებმა მრავალჯერ
კეთილი გული გატკინეს,
არ დაგიფასეს ამაგი
და ცხარე ცრემლით გატირეს!..
დაბეჭდილი გაქვს შენებრი
ნაღდი და კარგი ქართულით
თარგმანები და თემები
ნახატი კარიკატურის!
რადგან „ნიანგში“ მხოლოდ შენ
ერთს არ გჭირდება გარდაქმნა,
როცა ჩვენ გარდავიქმნებით,
იუბილეთი დაგდაფნავთ!
მაგ ძველ „უ ნ დ ე რ ვ უ დ ს“
ავიღებთ
ისე, რომ ვერვინ გაიგებს,
და მის მაგივრად დაგიდგამთ
უახლეს „ვ ე რ ი ტ ა ი პ ე რ ს“!

„ნიანგის“ დავალებით —
ზაურ ბოლქვაძე

მეგობრული შარჟი
გელა დურგლიშვილისა



ნახ. ნ. ხოდელისა

ჩემ სტუმარს

ფელეტონი

ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ! სტუმრის დახვედრა ხომ გვიყვარს, გამასპინძლება — კიდევ უფრო მეტად!

დღეს შენი მასპინძელი ვარ, ჩემო „ნიანგო“, სანატრელო ჩემო სტუმარო! გადავწყვიტე, წინასწარ შეგეგებო, ხელი ჩაგიდო და თან წაგიყვანო!

მაშ, მომყევი, მომყევი და გამძლეობა შეინარჩუნე! მოდი, ჩვენი მოგზაურობა „დიდუბის“ მეტროდან დავიწყოთ! მგზავრთა უხვ ნაკადს ჩვენც გავყვეთ! მეტროდან ხომ გამოვედით, სანამ ავტობუსში ჩავსხდებოდეთ, გვერდიგვერდ ჩამწკრივებულ კოოპვაჭრობის ფარდულებს ჩამოვყვეთ, სახეშელურჯებულ გამყიდველებს ჩამოვუაროთ. ვაშლი და მსხალი, ნიორი, ხახვი და კარტოფილი... ერთობ მრავალფეროვანი გამოფენაა. ოღონდ, გთხოვ, ნურც ხარისხზე დახძრავ ენას და, წონასა და ფასზეც ნუ შეედავები!.. ვთქვათ, გაბედე და ზუსტი ფასი ან წონა მოითხოვე, განა გამოგედავებიან? აწონილ ხილს ისევ უკან ჩაყრიან და მიბრძანდიო, მიგითითებენ. თუ არ დაემორჩილე და აწონილი ხილი ძალისძალად უკან დაიბრუნე, სამი ნაბიჯი არ გექნება გადადგმული, ისეთს შეგიკურთხებენ!.. რამდენი სანდომიანი მანდილოსანი მინახავს მათგან შეურაცხყოფილი. ვაჭრობის დარგში უხეში დარღვევები ახალი ამბავი არ არის, ამიტომ აღივსე მოთმინებით, მითუმეტეს, № 70 ავტობუსის მოლოდინში საკმაო ცდა მოგვიწევს — მარშრუტი „მეტრო დიდუბე — ზაჰესი“!..

შვიდი-რვა წლის წინათ, როცა დასახლებაში ორიოდე სახლი იდგა, ავტობუსი იმავე განრიგით დადიოდა, როგორც ახლა, როცა ასე მომრავლდა მრავალსართულიანი სახლები. ჰოდა, აღიჭურვე მოთმინებით! მითუმეტეს, რომ საკმაო ლოდინი მოგიწევს! დისპეტჩერს მიზეზი არ ელევა: მანქანა გრაფიკიდან ამოვარდა, დაზიანებულიაო! (მაინც ამდენმა დამტვრეულ-დაქონქილმა ავტობუსმა ამ მარშრუტზე საიდან მოიყარა თავი?!). მგონი გამოჩნდა... ხომ არ გგონიათ, უკანა კარი გაგიღოს? მძღოლი ცერბერივით შესჩერებია თითოეულ მგზავრს. ოცკაპიკიანებს პირდაპირ ქუდში უყრიან...

ყველანი ჩამოვიდნენ? ახლა ჩვენ ავცვივდებით. ფრთხილად, ჩემო სტუმარო, ლოდინისაგან გუნებაჩაშხამებულმა მგზავრებმა არ წაგლეკონ! ოღონდ დასადგომი იყოს და ფეხზედაც მშვენივრად დადგები, რაც შეეხება ჩანთებს, თუ თავზე დაგადებენ, ხმა არ ამოიღო! რა ქნას ამ ხალხმა, ჩვენს მაღაზიაში მხოლოდ დილის საათებში იყიდება პური (ისიც ნახევრად ცომი), თუ არ იმარჯვე და დროულად არ შეიძინე, მშიერი დარჩები!

ესეც ასე! დატენილ-დაპრესილებმა განვაგრძოთ მგზავრობა. ძლიერ გთხოვ, მგზავრები არ დამიწუნო: ქართულ-რუსულ-ხომხურ-აზერბაიჯანულ-ბერძნულ-ოსურ ენებზე მოლაპარაკე მგზავრები მშვენივრად ვეწყობით ერთმანეთს! ჩვენი ქალაქი ინტერნაციონალური ქალაქია, ძმებთან შეწყობა-შეხმატკბილება ყველაზე მეტად ჩვენს ავტობუსში იგრძნობა.

მაშ ასე, გავყვეთ სამხედრო გზას. მძღოლი სტვენს. ჩვენ ვმასლაათობთ.

ნახე, რა მშენებლობაა! — დიდი დიღმის დასახლება გახლავს. ერთ ღამეში აშენებულ ზღაპრულ ქალაქს ჰგავს! დავლოცოთ? კი, ბატონო! გამრავლდნენ, იხარონ, იბედნიერონ!

კიდევ ცოტაც და ხიდიც გამოჩნდება, ავჭალის ხიდი. დაღმართში ისე ერთბაშად დაექანება მანქანა, გული გადაგიტრიალდება. განსაკუთრებით, როცა მოყინულია!..

აჰა, გამოჩნდა ზემო ავჭალის დასახლება. ულიანოვის ქუჩა № 145. თუმცა, რა დასამალია, და ეს ნომერი ბარე ხუთ სახლს ითვლის. არსად წარწერა, არსად მინიშნება! ამ სახლებიდან ზოგი თბილისს ეკუთვნის, ზოგიც — მცხეთას. ხოლო ორი გადიას ხელში ბავშვს რა ემართება, შენც კარგად იცი, ჩემო სტუმარო! გაჩირაღდნებულ ქუჩას ხომ ხედავ? წარწერებიც ჩანს, გადასასვლელებიც. აქ თბილისია!.. დიახ, ეს ... ხაზამდე არის თბილისი!

გადადგამ ერთ ნაბიჯს, მხოლოდ ერთს, მეტი არ არის საჭირო და... რა მოხდა? მინგრეულ-მონგრეული ქუჩა, არავითარი წარწერა, შუქი!.. გუშინწინ, ავტობუსის გაჩერებაზე, ხულიგნებმა ცოლშვილიანი კაცი გალახეს, ოთხი შვილის მამა, ვინ გცემეთ, რომ ჰკითხეს, — არ ვიცი, ისეთი სიბნელე იყო, ერთიც კი ვერ ვიცანიო!.. მაინც რა გახდა ხუთიოდე ბოძის დადგმა? — მთელ ამ დასახლებას გაანათებდა. ახლა მოსაცდელი?! წვიმა და ქარი შავ დღეს რომ გვაყრის, რა გახდა ერთი მოსაცდელი?!

ამ გაჩერებას „ბავშვთა კოლონიის გაჩერება“ ჰქვია. ჩამობრძანდი, გენაცვალე, ფეხდაფეხ მომყევი, არსად ჩამორჩე, თორემ ერთი რომ მოგიცდეს ფეხი, გაწვები ლაფში!

მეკითხები, — ეს მიმოფანტული რა არისო? ნაგავია, ჩემო კარგო, თვეობით გაუტანელი ნაგავი. ბუნკერებს ხომ ხედავ ქუჩის პირას? დღისით ძაღლი და ღორია მისეული, საღამოს ქარი შემოუბერავს და ნაგავს ქუჩაში ფანტავს. ამას დავუმატოთ ზედა სართულებიდან ცელოფანის პარკებით მოსროლილი ნაგავი და მოკლედ, თუ ფრთხილად არ იქნები, შეიძლება შიგ შუბლში გლეწონს!..

მგონი, გადავრჩით! ცოტა ფრთხილად, წყალი რომ მორაკრაკებს, სუფთა, სასმელი წყალი არ გეგონოს! — ორი კვირაა კანალიზაციის მილი გაიჭედა და სიბინძურე პირდაპირ ქუჩაში მოედინება. ყველა ამჩნევს და არავინ არაფერს ამბობს, შეჩვეულები არიან მის „საამო ჩხრიალს“.

სანამ შეხასვლელს ავყვებოდეთ, ჯერ სახლს ავხედოთ! სინათლე ხომ არის? კი! მადლობა ღმერთს! ლიფტი თუ არ მუშაობს, არ იდარდო, დიდი ხანია მივეჩვიეთ მეშვიდე სართულზე ფეხით ასვლას.

მაშ, ასე — შინ მშვიდობით მივაღწიეთ! მობრძანდი, ჩემო სტუმარო, ფეხბედნიერო, ფეხდალოცვილო და კურთხეულო!

ნინო ღვინერია



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ბედნიერი დედის მონოლოგი

დედა ენაცვალოს ჩემ შვილებს, როგორც იქნა, დავაბინავე, მოვაწყვე კარგად და ლამაზად. ისე არიან, ისე ცხოვრობენ, ქვეყანა მათ შენატრის. უფროსი ბიჭი, ნოდარი, კაცია კაცური, მოსკოვში დავამთავრებინე უნივერსიტეტი, თავისი სიგრძე დიპლომი აქვს. ისეთ ოჯახშია შესული, ისეთი სახლ-კარი, მანქანა და აგარაკი დასვდა, მთელი ცხოვრება ხელის განძრევა არ დასჭირდება, თალოს დუმა და ჭამოს! ცოლიც კარგი გოგოა, არა უშავს რა, ორშაურაძეები ხომ მთელ ქალაქში ცნობილი ოჯახია! ერთადერთი გოგო ჰყავთ და ისიც ჩემ შვილს გაჰყვა. არა, თუმცა კი არ გაჰყვა, მე გავაყოლე ჩემი ნოდარი. მერე რა ზრდილი, თავდაჭერილი ბიჭია ჩემი ბიჭი, ზედმეტ სიტყვას ვერ ამოაღებინებ. რაც უნდა უთხრან, პასუხს არ გასცემს!.. სწორედ ისეთია, ორშაურაძეების ქონებას რომ შეეფერება. მაინც რა ლამაზად და კარგად არიან მოწყობილი!.. დედა ენაცვალოს ჩემ შვილებს!

არც გურამია ცუდად ჯამიხვრეპიაშვილებში. აგერ, რამდენი ხანია, მძახლეულები ქონებას აგროვებენ. ომამდეც კი კარგ, შეძლებულ ოჯახად ითვლებოდნენო. მერე უმატებენ და უმატებენ!.. გურამს კი არა, ჩემ შვილიშვილებსაც კი ეყოფა იმათი ქონება. ერთია ოღონდ, ძმა ჰყავს იმ ჩემ რძალსა, მაგრამ ეგ არაფერი, ისიც კარგ ოჯახში ჩავარდნილა. ცოლი მოიყვანა თუ არა, სიდედრთან გადავიდა, ერთი მანქანა მისცეს და მეტი რაღა უნდა, მეტს რაღას მოითხოვს წილში? ის თავისი იურისტობაც კი აღარ სჭირდება გურამსა, იცხოვროს ფეხი ფეხზე გადადებულმა! ალბათ, ერთი შვილიც ეყოლება და იმის გაზრდაც არ გაუჭირდება, ისეთი ოჯახია ჯამიხვრეპიაშვილებისა.



უმცროსი ბიჭიც კარგად არის. ისეთი სახლი აქვთ ვაკეში, ქვეყანას თვალი რჩება ზედა. მესამე სართულზე ბილიარდი და სათამაშო აქვთ მოწყობილი. მთელი ღამე ტელევიზორს უყურებენ, დღე სძინავთ, პურის ჭამის მეტი არაფერი საქმე არა აქვს, იმასაც თუ მოინდომებს, მოსამსახურე მოუტანს და ხელით აჭმევს!.. ჭკვიანია, დედა ენაცვალოს, დღე სძინავს და ღამე ღვიძავს, დღე და ღამე სულ ერთია იმათთვის. საქმე არა და ყოფა არა! მეტი ბედნიერება და ცხოვრება რა გინდა? სიმამრიც ახალგაზრდა ჰყავს, კარგ ადგილზე მუშაობს, სხვებივით ბაზარში არ ევაჭრება გამყიდველებს, არ ეხვეწება, აბაზი დამიკელითო! იმის სიმამრსაც ერთი სიდედრი ჰყავს სახლში, ეგ არის და ეგა. ქონების გამყოფი არა ჰყავთ და მოცილე. მეორე სახლი ჰქონდათ დაკეტილი, კეტეს, კეტეს, და ისიც ბოლოს და ბოლოს ფულად აქციეს. ერთადერთი სადარდებელი აქვთ, ფული არ შეიცვალოს, რამე ისეთი არ მოხდეს, თორემ... მეტი არაფერი. ჭკვიანი ქალი ვიყავი და ბიჭებიც ჭკვიანად დავაბინავე, იმათ ენაცვალოს დედა!

ერთიღა დამრჩა სადარდებელი: ერთი სოფლელი, კარგი, უპატრონო ვინმე მაშოვნინა. თუ დიპლომი ექნა, ხო კარგი, თუ არადა, ჯანდაბას, ისიც არ არის საჭირო. მთავარია, თვითონ იყოს უსახლკარო, თორემ სოფლელებმა გაჯიუტება იციან, სიდედრიო, სიმამრიო, მარტო გოგო მინდაო! უსახლკარო ჯობია, მერე რაღას იზამს, შევრთავ ამ ჩემს ასულსა, იცხოვროს და იყოს! აგერ სახლი და აგერ კარი! შრომა იმას არ დასჭირდება და წვალება! ღვთის მადლით იმდენი გვიშოვია მე და ჩემ კაცსა, ერთ ახალ ოჯახს კი არა, გვარიან სოფელსაც ეყოფა სარჩენად! ბედნიერი ქალი ვარ, ჭკვიანი, სამი ძე მყავს და ერთი ასული. ყველა გზაზე დავაყენე, ყველას განათლება მივეცი. ახლა სიბერეს ველოდები, ტკბილ და უშფოთველ სიბერეს. არსად მიმუშავია და არც პენსია მაქვს, მაგრამ პენსია რა არის, რაღაც მათხოვრული 120 მანეთი? ორას მანეთს მივცემ და სახლში დამხმარეს დავიქირავებ. რაც მინდა, იმას ვეტყვი და გავაკეთებინებ. რა ხალხია ეს ხალხი, სამსახურისთვის თავებს რომ იხოცავენ?! რა საჭიროა სამსახური?! მთავარია, იცხოვრო ისე, რომ არაფერი აკეთო, სვა, ჭამო და მოიმკო წუთისოფელი! ენაცვალოს დედა ჩემს შვილებსა!

ჩაიწერა მერაბ დადეშარმა

— რომელი ოტელლო შენ მყავხარ, საჩუქრად რომ ცხვირსახოცი მომიტანე?!.

მეხანძრის ჩივილი

კაპასი ცოლის პატრონი ვარ ბედისაგან დამწვარი,
გულში ხანძარი მინთია, ხან ცოლი მწყევლის, ხან — რძალი,
ცოლი რომ „მასაუს“ მიკეთებს, ხან რბილი მტკივა, ხან — ძვალი,
მე, ბედით დამწვარს, ცხვირიდან ხან ოფლი მომდის, ხან — ძმარი
(ჩემი ბრალია, თავიდან ხმა, კრინტი რომ არ დავძარი!)
სიდედრმა სორო მიყიდა, თითქოს მაჩუქა ტაძარი,
სიმამრის შიშით სარდაფში ვარ ვირთხასავით ჩამძვრალი,
სამუშაოზე დავდივარ ლასლასითა და ცანცარით!..
დამჯაბნეს, დამაბეჩავეს, თვალში მაყარეს ნაცარი,
აწ აღარ მივალ იმ სახლში, დღესვე რომ გაჩნდეს ხანძარი!
სუყველა თავზე დამაჯდა, ლანძღვა-გინება მაქვს ხშირი,
დარდისგან ლამის გავშავდე, კაცისგან დავრჩი ნახშირი!..
ცეცხლივით ბიჭი დამბუგეს, ახლა ძაღლს ვგავარ ცოფიანს!..
კაპასი ცოლის მოყვანას ცეცხლში ჩავარდნა სჯობია!

მოისმინა ვანო გურულმა

ჭაბო ხვედელიძე

ილუსტრაციები ზ. ზალიკაშვილისა

არ მოგიდევიეთ!..

არ მოგიწვიეთ!.. მარტო ვხედავი დაბადების დღეს!..
ბევრი მეგულვინო ამ ნებსის, — აქლემის ქურდად!..
მოვიპატიჟე ჩიპოლინი და არლეკინი,
მუსტაფრებანაბ ბურატინო თუ წითელქუდა!..
თითქოს სიცოცხლის ბოლო დღე მაქვს, სავსე
ტკბილეთი,
პაოტტიკური სადღეგრძელო მიტომ მაწუხებს
და სარეკვენიც, ღორსებთა განმსაზღვრელები,
სულს დამიფლეთენ, მომიგერენ ყელში მარწუხებს!..
სწორედ ამიტომ ვეფერები ზღაპრის სამყაროს,
ბორიტებისგან დამიფარეს ბრძენი კარლსონი,
ოცდაათ სახლითო ტორტს მოპარამეფეს ჩემი ნიკანა,
მეკრეა, ბოლოშია ეუცყარი და მას ერის ეგსოოდი!
თავად კოლია ბურატინან ყვდები ჩიითის კაბაში,
როგორც არსაფროს, ისე ვვიკარ ახლა ჩემივ თავს!
ასე მეონია, ჩამოიფლის ბრინეი რანეი
და ულამაზეს ასულს მარილა ცოლად შემირთავს!..
არ მოგიწვეთო, მარტო ვიხელი დაბადების დღეს,
რადგან მეგულვინო ამა ნებსის, — აქლემის ქურდად!..
მე მენატრება ზეგანია ხილვები,
მესტაფრებანაბ ბურატინო და წითელქუდა!..

ანეფლიკა და პეიერაკის ბაახსენება

ახლანდელებენ ჩემ კოფრის და ვალი მიმდის,
გაოოგნებულა კაცის ბედის გამო სატანაც
და დაზბაფრული სასამართლო დუმილით მიდის
თავსმოხვეული ვანაჩენის გამოსატანაღ!..
დღემდე, რამდენჯერ რა უნუმად ჩამხედეს სულმი,
ათი ათასჯერ დაამწიეს მერი და ზაკვა!..
მანც იმ პირველ სიფიერეს თუ სათუოდ ვეფალი,
ყველიდან, სამოცდა-ექვსეკერ ამ კარკეს ბაზ-ყვალს!
სწორედ ამ ქვეყანის ძლიერებმა მოუბედურეს,
სერდანი, ვეფლიანი ოფობიანი ქსელნი გავეფინა!..
ბაზ დამილიეკეი პეიერაკის ტურფა მეუღლეს,
ორფეს ურჩნეულთა ზესამეარსად მიეეგზავრები!

ეოდა

ჭკეკა-ეოოვნა დღეს ეფრო ბეგიჭრონ,
მწარე სინანულეს ვიაოოდი მე და მენ!..
არე სიყვარულო, არც ეეა, არც ნიკი! —
მთავარი არის — იყო ეოდაბინ!

ეარიესტოფანეს

ვიი თანატოლეეს ბაეშოობისას ჩენსაბ ეყლეტელივ,
ყველაზე ეტენად მეე ძნიბილვადეი ეარეესტოფანეს.
სახელდახელეოდ მოვაწყობდიით ეაატარა სცენსაბ,
მაყურებლებინი ოვსებოდა ეზი თანდეთაინ!..
სცენსაბე ოყო ეარეესტანი, ბაბ არლეკინი,
ხან ყეფლუბრეყველო ენოეულეეეა დიდი თვალეებით,
ცბიერი მეკელი, ახლა თითქოს ნალდი ენინდეანი,
ნანაკ კონკია — საკმინანი, სათნო ვიოოპნა,
ერთ მეოოენბე ყველისეულნენ დასაწინდაეი.
სულ თამამ-თამამაბ მიდიოოდა ცხოოენაბ ჩვენნ!..
ერთ მშეენიერ დღეს, აღარ მასსოოს, როგორ და
რატომ,
აღმოვაჩინე უნენბლეიენ, რომ დიდი გავფდი
(ეა, ტმკიოვნეულად ვვეიანინ სიმარილეეეა მაპინ!)
და გამოსაგარ ოკმოოს და ბროოლის კოშკებთან, —
რადგან ბიმარილეეემ მომეაარა ბაეი თვალები, —
კეკლეკ გამოვეფმე ფანტაზიას სიზმრის კიბოდან.
გამოვიგონე ეყლისნენული ოყენთან, ოსერთ,
და მეეოყარე გაგიოკეთი, თავდეოვნეეეთან!..
ის კი, რომელმაც ნაზი ეარძონაბ არად ჩაავდო,
ბაკრა სიზმრიდან, ვიი ეეეაბ პირველი თოყლი!..
მიეზდი თუ არა, მეეეკვეეი მსუბეეი ფრაცი,
რადგან ვისეკვალ ამ ცხოოენაბ ანი და ბანი.
მეოენ, ხაბარეელ სიმარილეესან ბეეკბეკბისას,
ეიმეეეულები ჩენთან შეჩნდილ ეარეესტანასაბ!..
და ეთამაშობდი, ეთამაშობდი მოელი ცხოოენა
კარგ ეეეილ, მოსწავლეეს, უეეეოოს სტეფენტანაკ.
მერე —

ხან კარგ ბეგობარს, კარგ ნათესავს სტუმართმოყვარეს,
ბოლოს — კარგ ოედაკ, კარგ მეეულეს, ჭკვიანს და
ყეთილეს!..
მე ეთამაშობდი, ეთამაშობდი მოელი ცხოოენაბ,
მაგრამ როდესაც სიფვარულის თამაში ვეცადე,
მომიგეენეა, რომ ეეერანინი და ეკეეარეი გავფდი,
რადგან თამაში არის ქვეყნად მხოლოდ თამაში
და სინამდვილე სამნაკეარი!
დღემდე ნისლებაბი დაფრინავდა ოფლება ჩენი,
სხვა გზა არ არის, ყველა ბიჭიაბ უნდა დაკეეეა,
მაგრამ მითხარი, ამიხსენი, როგორ ვიფფოოო,
როგორ ვიფფოოო დაკარეული ეულის გარეშე?!

მრავალნანინრმანი განცროლეეა, ანუ უარყოფითმიმართველეული პრიზმაეი ბაეოდაბინ

დამდე პატიკი, მეგობარო, შეჩერდი წუთით!..
მობრძანდეთ, ყველას ჩემს ქალეეეში გეპატიჟებთ,
რომელიც მხოლოდ მიტომ უნდა გადაეიხადო,
რომ ალარ მეკრა, თუ მაბ სხვები გადამბიდოდნ!
ალარე ის ბეკერა, ვინმე თვალები თუ დამიხეეეს!
სასეფილისა და გამოძალვის ფიქრის გარეშე!..
არ მეყოფება, ალბათ, ყველზე მიწინ დამერეული
და დღეს, ეიოეთალი, ჩენს ქალეეეში ეეპატიჟებთან!
„ეადასახურავს“ ნე მოიტანთ (ო, მეზობლებს!),
არე მინდა მეიოლეს დაკეეტოეეთ გადასახდელეაბ!
ეეპატიჟებთან მოელი ეყლეთი ნაცნობ და ეეენობ,
ყველამ დალეეეი ჩენი ალეეის შესანდობარი!
რა ეეეყოთ მეოე, ამქვეყნიდან თუ მარტო მოვეედი
და მარტო ეეაკალ?!..
თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ მეეინანი?
საქმე ის არის, სადეურაბედ ვინ მიმაეიოლებს,
ეეეოდეთ ყოელი, — მარტოსეული ნანადი ჩამიფენ,
თუ ეეკარ ბეკრეეენ და ეეეკ ეეეყარეულნი გადამქმეხეეენ?
დადგილებინთ ასე ეეეი გარდაეეეეკვალეაბ!..
ამრილის ეეეკეა მემაეოოოფაბ ეეკანაკეეეკეაბ
და ნანატეკბაბ ჭარიან და თოოეეილი ღიმეაბ
მარტო დაგიჩენთ თვალეებია ეი ჩემ ეეიგნეებთან!..
მერე კი მოვალენ ამლოონლეები (თუ მეერნა ეიმნეე!),
ეკარ მიანგრეკვენ ოთახს, მეეეკ სახლეს მეებრნაბ
თვალებთან.
მეკეტბრნაბ ყნოოვთან მოიიკვენ ანდეკრაბ თუ ეეერიალეს,
ფამეეეიდენანიან „ეკენრანეკეკ ეეპორეაბ“ მეემდეკ!..
თუ ეფრეეეი ისევ მეოდაბი იენა,
ერთისაც ხმამაღლეა სხვათა მორის ეეეიეეადეებენ!..
აჰ! ყვავილები კოლამ ვამოერნა
ლეხინნიეე, ჯინრნიაე მეფამ ჩემი თანამეგზაერეაბ!
ოეენეა ბალთაბდ ეარეი, ტოტ და ბინაკეენ
ეეოეტეკეეეო თვალეაბრნინი, ჯეეეიკეეეეაბ!
სასახლეე — ეეაბალეაბ!..
ჭირისუფლეს რომ არეინ ბაკერაბ ჭირეენის ჭკვნი:
(იფოსო მინთვის ალალი ეი ეეეაყვედეერო!)
სასახლეეში კი ნამაი ჩემი ალეა-ფიფეეის
ნიფეეეი ოფრეე — ეეეეეი ალა! „ეეეი ეეეეეა!“
ნაოლეეელეეეეე

დედის სამკაული

ეტიუდი

რეა მარტის მოახლოებით, ასე მგონია, გილიოტინაზე ავდივარ!.. მაშინ დამწვარ გულზე მდუღარესავით დამესხმება ჩემი და სხვისი სატკივარი!..

მაშინ გამახსენდება, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით რა დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ ჩვენს საზოგადოებაში. მამაკაცებს თავი გენიოსებად კი მოგვაქვს, მაგრამ ნუთუ აქამდე ერთი ჩვენთვის სახეირო საერთაშორისო დღესასწაული ვერ მოვიფიქრეთ?

თუ სადმე რაშე დავაპირეთ, იქვე ჩვენს გვერდით არიან ქალები, მაგრამ ჩვენი ერის გამრავლებაზე როცა საქმე მიდგა და ვიგრძენით საშიშროება, პირველად მამაკაცებმა ავიმაღლეთ ხმა. ჯერ ერთი ქალიც არ გამოსულა და არ უთქვამს საზოგადოების წინაშე, რომ ამდენ თანხას ვწირავ საერთო საქმესო.

არ გვინდა, ბატონო! ჩვენ, მამაკაცები, პირიქით ვაპირებთ დახმარებას, მაგრამ ნუ გაგვაგონებთ გულის მომკვლელ სიტყვებს: „სიდედრმა უარი მითხრა შვილების გაზრდაზე!“ „ქმარი დუბლიონკას დამპირდა, არ მიყიდა და ამიტომ არ გავაჩენ მესამე შვილს!“ ესეც კი გავიგონე: „ოთხი შვილი როგორ მოვაწყო უმაღლესში?“ „ხუთ შვილს ჭამა და ჩაცმა ხომ უნდა?“

საკითხავია, ვის დაეხოცა შიმშილისაგან დღეს შვილები? მაგრამ შავ პურსა და სამამულო ნაწარმს რომ არ კადრულობენ, ამას ყველა ვხედავთ! ერთმა ისიც კი თქვა, გოჭებივით ხომ არ დავყრი შვილებს, ერთს გავზრდი და კარგსო! ერთი შვილი და ისიც კარგი, ერს ასი ათასში ერთი გამორევია. ალბათ სიტყვა „კარგში“ დედა თავის შვილს მეცნიერ მუშაკად გულისხმობს. გლეხი თითქმის ყველას ავიწყდება, რომლის მარჯვენის მადლით დღეს საქართველო არსებობს! და არც „გოჭებივით დაყრილი“ შვილები ერისთვის არ არსებობს, პირიქით, ერისა და გვარის სიძლიერე დედმამიშვილობაშია!

ზოგიერთი ბინას იმიზეზებს: სრასასახლე არ მაქვსო, ხელფასი ცოტაა და ა. შ.

მიკვირს, როდის აქეთ დასჩემდა ქართველ ქალს წუწუნი? როდის აქეთ სჯობნის სხვა ეროვნების ქალი მრავალშვილიანობაში?

ეგებ ჩვენზე, მამაკაცებზე არის მისათითებელი? ეგებ ჩვენც ხელს ვუწყობთ ერის გამრავლების დამლუპველ საქმეს? დაღონებულსა და ფიქრებში წასულს ერთი აზრი მომივიდა: რადგან მოწოდება და შეგონება ერის გამრავლებაზე ნელა იკიდებს ფეხს და არმოცდის დრთა, ხომ არ აჯობებდა მაგიურ ძალას მოეუხმო? რა ვქნა, ასეთი სულწასული კაცი ვარ!..

— სეზამ, გაიღე! სეზამ, გაიღე!.. — წამოვილუღლუღე ჩემთვის გაბრაზებულმა.

თითქოს კედლები და მთელი სამყარო მისმენდაო, — არ დაეხმარო! არ დაეხმარო! — ასისინდნენ ჩემს ირგვლივ უცხო ბოროტი ენები.

— კი მაგრამ, საიდან იცით, მე რა დახმარებას ვითხოვ?! — სახეზე მიტკლის ფერი დამედო.

— აბა, ქართველებს გამრავლების მეტი რა გიჭირთ? — გამცა პასუხი სიბნელიდან ვიღაცამ.

— არ გინდა, დაანებე თავი! — ხელის შეხება ვიგრძენი, მოვიხედე და რას ვხედავ: ჩვენი ქართვლის დედის ძეგლი ცრემლებად იღვრებოდა — აი, ნახავ, საქმე გამოსწორდება, ქართველები გავმრავლდებით, ყველა ქართველ ქალს ოთხ შვილზე ნაკლები არ ეყოლება!

გული დამომშვიდდა.

გავიდა დრო, რვა მარტიც მოახლოვდა. სარვამარტო მაგიდასთან თვალში მეცა ქალთა უცნაური მორთულობა.

— მანდილოსნებო, სამკაულებსა და ბრილიანტებს ვერ ვხედავ! რაშია საქმე? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

ახლოს მჯდომმა მანდილოსანმა ხელი მომკიდა და გვერდით ოთახში გამიყვანა. ზღვის ტალღასავით მომასკდა ბავშვთა ჟივილ-ხივილი!..

სიხარულისაგან იქვე ჩავჯექი.

— დედის სამკაული ბევრი შვილია! — ამაყად მიპასუხა მანდილოსანმა.

კუკური კუკულაძე
(ქ. ლანჩხუთი)

ერის განძი

ათი შვილის ახალგაზრდა დედას

ათ შვილსა ზრდისო!.. არ ვიქნებით შემყურე სხვისი!
მან ერს აჩუქა უკვდავება თავისი წილი!
აი, ვინ არის ჭეშმარიტი დიდების ღირსი,
აი, ვინ არის საქართველოს ერთგული შვილი!
ასეთი დედა ერისკაცი, ერის განძია,
ჩვენი მურყვამი, ნიკორწმინდა, ჩვენი ტანძია!..
მიმბაძველები მძაგს — ახალი, გინდა ძველები,
მაგრამ გვიმრავლოს ღმერთმა მისი მიმბაძველები!

აკაკი გელოვანი

მაინც მშვენიერო ა(ვ)სულო!

პაროდია

ვფიცავ შენს თავს და შენს ლექსებს, გარდა პირველი მარტისა, არ შეგაწუხებ **აროდეს!** გალობდეს შენი ბულბული, დაირწეს შენი აკვანი, შენი ღიმილი **ხარობდეს!** დაცვა გყოლია ძლიერი! — ესეც უნდა **გიხაროდეს!** იცოცხლე და იდღეგრძელე, მაღალი ღმერთი **გწყალობდეს!**

დიახ, დიახ, გეთანხმები: „საქართველოში ასგზის ძნელია, იყო პოეტი და **თანაც ქალი,** სწორედ ესაა ის ტრაგედია, რაზეც არ უნდა დავხუჭოთ **თვალი,** და მოვიხადოთ უნდა სუყველამ ერთხმად ჩვენ-ჩვენი **ვალი,** ცეცხლს მივცეთ ძველი, დახავსებული, გარდაქმნაც გახდეს **მალი!**

ალბათ იმიტომ მომწონდი, რომ ჩამოგავდი **ლეილას,**
ლოლობრიჯიდა ჯინულის (ეს კი საქმეა **გმირული**),
თუ გამიგო რომელიმემ, გაყურებინებ **ხეირას,**
წერილს წავიღებ შორეთში, ფაფუ ჩემი სიყვარული!..

რომეო კაკულეტი

ნახ. ვ. კუციასი

— **არც ახლა მიყიდი საუთოებელ მაგიდას?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის მშვენიერ ნახევარს!

სარეამარტო ბარათი

ზოგ ქვეყანაში მამაკაცების რაოდენობა მეტია, ზოგში — ქალების, ხოლო საერთოდ მთელ დედამიწაზე მათი რიცხვი საშუალოდ თანაბარია. ასე რომ, კაცობრიობის ერთი ნახევარი მშვენიერი სქესის ადამიანებისაგან შედგება. ეს, უდავოდ, შესანიშნავი სტატისტიკური მონაცემია. ამგვარად, სულ ცოტა, ნახევარი კაცობრიობა მაინც მშვენიერია, კეთილია, სპეტაკია, სათნოა, მოკრძალებულია, მოსიყვარულეა, მომთმენია, ალერსიანია, სათაყვანებელია, მშვიდია, გამრჯეა, დაულალავია, ბედნიერებისა და სიხარულის წყაროა, ოჯახის ერთგული ბურჯია, ქვეყნის მომავლის აღმზრდელია, პოეზიისა და საგმირო საქმეთა შთამაგონებელია, სიყვარულის გაბრწყინებაა, ერის დედაბოძია, თავშეკავებულია და მშვიდობის მოყვარეა, არ ჩხუბობს, ბანქოს არ თამაშობს, არ ეწევა თამბაქოს — პაპიროსს, სიგარეტს, სიგარას, არ ლოთობს, არ სვამს ალკოჰოლიან სასმელებს, არ იგინება, არ ილანძღება უშვერი სიტყვებით, არ ყალთაბანდობს, არ ყაჩაღობს, არ აჩანაგებს წარმოებას, არ ანგრევს ქვეყანას!.. მოკლედ, ყველა სიკეთით არის შემკული.

კაცობრიობის ამ მშვენიერ ნახევარში ადრე აქა-იქ თუ შეიმჩნეოდა ნორმიდან გადახრის ერთეული ფაქტები, ამ ბოლო ხანებში ასეთი ფაქტები რამდენადმე გახშირდა: მშვენიერი სქესის ზოგიერთი წარმომადგენელი ნებაყოფლობით თმობს თავის ზოგიერთ უპირატესობას — ჩუმად ან აშკარად ეწევა სიგარეტს, სვამს „შამპოს“ და „კონოს“ (ე. ი. შამპანურსა და კონიაკს), იჩენს უხასიათობას, უხეშობს, ნაკლებად ზრუნავს ოჯახის შექმნასა და ერის მომავალზე, საგმირო საქმეთა ნაცვლად აყალმაყალის შთამაგონებელია!..

ო, დედამიწის ქალებო, თქვენ კაცობრიობის უმშვენიერესი ნახევარი ხართ! თქვენი დიდი იმედი აქვს მის ძლიერ, მაგრამ რამდენადმე თავშეუკავებელ მეორე ნახევარს! თქვენ თქვენი სისუსტითაც მათზე უფრო ძლიერი ხართ! დაე, ნურც ერთი თქვენგანი ნუ დათმობს თავისი ამამაღლებელი ღირსებებიდან ნურც ერთ ღირსებას! ნუ იზამთ ამას! გილოცავთ ქალთა დღეს — 8 მარტს! კვლავ იყავით სათნო და მშვენიერი, სიხარულისა და სიკეთის წყარო! დაე, ნურასოდეს მოგშლოდეთ სიყვარულის შარავანდედი და ამქვეყნიური ბედნიერება!

თქვენი თაყვანისმცემელი ნახევარი კაცობრიობის სახელით — **პ. ბასილაია**

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცან თავი შენი!

თინა მასწავლებელი ამაყობდა:
— გიოს პროფსკოლისკენ მე ვუბიძგეო,
შევატყვე, ხელოსნობის ნიჭი ჰქონდა,
ისე კი არ მიქნია უმიზეზოდ!
არა, პატივცემულო, — გიოს დედამ თქვა, —
ჩვენ სამედიცინოს ვუმიზნებთო!
გიოს დედამ გადამწყვეტი სიტყვა თქვა,
მაშასადამე, ერთი იყო თქმა და ქმნა —
გიომ სამედიცინოსკენ პირი ქნა,
ხელოსნობის ნიჭი გაპყვა ნიავქარს!..
ვაჰმეე, რა ოქროს ხელი ჰქონდა! —
სამედიცინოზე რა უნდოდა?!
ამზადეს გიო გამოცდებისათვის,
ამუშავეს და აღვრევინეს ოფლი!..
აბა, რას იზამდნენ, როცა დიდ კონკურსს
სასკოლო განათლება არა ჰყოფნის!
აფსუს! ბიჭს ხელოსნობის ნიჭი ჰქონდა! —
სამედიცინოზე რა უნდოდა?!
...და შეება გიო მძიმე უღელში.
ღმერთმა მისი ოჯახი ააშენა
(ბიძაზე ვამბობ), ვინც მოინდომა და
ბიჭს მოწყობაში ხელი წააშველა!
შეუდგა გიო ცხოვრების ძნელ გზას,
ამ გზაზე იარა ექვს წელიწადს!
ახლა ჩვენ ერთი შეკითხვაღა დაგვრჩა
და ამით ჩვენს სათქმელს მოვათავებთ:
დადგება კარგი ექიმი გიოსგან?!
.. ისე კარგი დაეყაროს ჩვენს მოავთვალეს!
ბიჭს ხელოსნობის ნიჭი ჰქონდა! —
სამედიცინოზე რა უნდოდა?!

ლალი მარტაშვილი

ვინც გამირიგა ოლია!..

დიდი ხვეწნით და მუდარით
ცოლად შევირთე ოლია,
ქორწილის მერე, ყოველდღე
ჩემთან ჩხუბი და ომია!..
შეიმუშავა ოჯახში
ახალი „კონსტიტუცია"
და დამაკისრა მუდმივად
დიასახლისის ფუნქცია!..
ოჯახის რჩენის, გაძღოლის
მე დამაკისრა მისია,
მოყვრები თემურლენგივით
თანდათან შემომისია!..
ერთი წელია, ის არის
ოჯახის მთავარსარდალი,
ცხრასართულიან წყევლაში
მართლაც არა ჰყავს ბადალი!
დედამისს უხმობს დამცველად,
ჩემთან რომ იწყებს შეტევას
(ბოღმისგან გული გასივდა,
საგულეს აღარ ეტევა!)
იმისი შიშით სტუმრები
ჩემთან სულ აღარ მოდიან!
დაე, ჩემსავით გამწარდეს,
ვინც გამირიგა ოლია!

ივანე ოსეფაიშვილი

ნახ. ი. ყეინაშვილისა



148
22.III 88

უსიტყვოდ

ყურადღება არაფრის გამო

ქ. თელავში მცხოვრებმა **ეთერ ფიდოს ასულმა ბიძინაშვილმა** „ნიანგის" რედაქციაში შემოიტანა საჩივარი მეზობელ **გ. დანიელოვთან** კონფლიქტის შესახებ. კერძოდ, ჩივის იმაზე, რომ **დანიელოვმა** მის სახლს თვითნებურად მიუშენა სათავსო და პატარა სარკმელი. ასე დაიწყო ორ მეზობელს შორის ჩხუბი და დავიდარაბა, რომელიც ოცი წელია გრძელდება!.. სად არ იჩივლა, ვის არ მიმართა **ეთერ ბიძინაშვილმა**, მაგრამ **გ. დანიელოვს** ვერა და ვერ მოანგრევინა მიშენებული სათავსო და სარკმელი. პირიქით, **რესპუბლიკის პროკურატურიდან პასუხი მიიღო, რომ მისი საჩივარი უსაფუძვლოა**, ამიტომ იგი მაინც განაგრძობს ჩივილს სხვადასხვა ინსტანციაში. **გ. დანიელოვიც**, რომ იტყვიან, შეჯდა ჯორზე, არ მოშალა სათავსო და სარკმელი.

მართალია, **ბიძინაშვილის** საჩივარი იურიდიულად უსაფუძვლოდ ჩათვალეს, რადგან მართლაც ძნელია ახლა ამ საქმეში გაარჩიო მტყუან-მართალი, მაგრამ ხომ არსებობს დაუწერელი, ადამიანური კანონიც? ნათქვამია, ჩიტი ბდღვნად არ ღირსო. ასეა აქაც. ნუთუ პატარა სარკმლისა და იოტისოდენა სათავსოსათვის ღირს ამდენი ჩხუბი და აურზაური? ხომ შეიძლებოდა გაჯიუტებული **გ. დანიელოვიც** წასულიყო დათმობაზე და მარტოხელა, უმწეო ქალის ამდენი ხნის ნერვიულობისთვის წერტილი დაესვა?

ამ საქმის მოგვარება თავდაპირველად სულ ადვილად შეიძლებოდა თუნდაც ამხანაგური სასამართლოს ჩარევით, მაგრამ **თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მაშინდელმა მესვეურებმა** თავიდანვე გულთან არ მიიტანეს ეს ამბავი. ხომ გაგიგონიათ, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

სწორედ ამაზეა ნათქვამი — „აურზაური არაფრის გამო".

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **სახალხო დეპუტატების თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი** ბოლოს და ბოლოს კეთილად მოაგვარებს ამ საქმეს და დანასისხლად გადაკიდებულ მეზობელთა შორის აურზაურიც შეწყდება.

ვანო ციცაძე

ლასლო ტობი

(უ ნ გ რ ე თ ი)

ასაკობრივი სხვაობა

— არანკა, მეტის მოცდა აღარ შეძიძლია! უკვე ორი წელია ველი თქვენს თანხმობას! მალე ჩემი ცოლი თუ არ გახდებით, ალბათ თავს მოვიკლავ!..

— კი მაგრამ, დიულა, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ დავიცდით დისკუსიის დამთავრებამდე? განა არ წაიკითხეთ „სიახლენის“ უკანასკნელი ნომერი? ისევ იბეჭდება მკითხველთა მოსაზრებები!..

— მართალია, ჩემო ძვირფასო, მაგრამ რადიოში უკვე კარგა ხანია გადაწყდა ეს დავა! გადაცემაში გარკვევით ითქვა, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ცოლი ექვსი კვირით უფროსი იქნება ქმარზე. ამასვე გადმოსცემდა „**სიყვარულის გუშაგი**“. ნუთუ თქვენ მათ აზრს ანგარიშს არ უწევთ?

— დიულა, თქვენ მეხსიერება გღალატობთ! მართალია, „სიყვარულის გუშაგის“ რედაქტორმა თქვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ცოლი უფროსიაო, მაგრამ... ისიც ხომ დასძინა, რომ მაინც სასიამოვნოა, თუ ქმარი იქნება უფროსი! ეს რატომ დაგავიწყდათ?

— არანკა, ძვირფასო, მე ხომ რაღაც ექვსი კვირით ვარ თქვენზე უმცროსი! რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— როგორ გეტყობათ, რომ არ წაგიკითხავთ კენეს არტუნეს სტატია „სიახლენის“ დღევანდელ ნომერში!

— რას წერს ასეთს?

— ახლავე წაგიკითხავთ: „**მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ დაუშვებელია, როცა ცოლი ქმარზე უფროსია! თავის დროზე მე და ჩემი ქმარი სიყვარულით დავქორწინდით. ჩემს ქმარზე უფროსი ვიყავი მხოლოდ საათნახევრით და იცით რა მოხდა? ამის მიუხედავად 45 წლის ცოლქმრობის შემდეგ ქმარმა „ბებრუხანა“ მიწოდა. ვფიქრობ, ჩემი მაგალითი გამოადგებათ ქალიშვილებს**“.

— ჩემო ძვირფასო არანკა, ნუთუ ამის გამო მეუბნებით უარს?! რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას წერს! თუ ასეა, მაშინ ესეც წაიკითხეთ! აი, მომისმინეთ, რას წერს ბლაჟეკ ალფონზნე: „**დამერწმუნეთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ცოლი იქნება უფროსი თუ ქმარი. ორმოცდათორმეტი წლის გავთხოვდი და 13 წლით უფროსი ვიყავი ქმარზე. მართალია, დიდხანს არ გვიცხოვრია ერთად, მხოლოდ 8 დღე, მაგრამ ეს რვა დღე... ოჰ, რა იყო!**“ აი, ხედავთ, ასეც ხდება! მოდით, არანკა, მოვაწეროთ ხელი!

— რა საჭიროა ასეთი აჩქარება?! უმჯობესია დაველოდოთ, როგორც გადაწყდება ეს საკითხი გაზეთის ფურცლებზე! თანაც, შეიძლება, ტელევიზორითაც მოაწყონ გულახდილი საუბრები ამ თემაზე. შესაძლოა, განყოფილებაში — „**ლაპარაკობენ დედაქალაქელები**“ — დაიწყონ კიდევაც ახალი ციკლი „**გვეკითხებიან — ვუპასუხებთ!**“ ქორწინებას მეტად სერიოზულად უნდა მივუდგეთ, დიულა, აქ აჩქარება არ ვარგა!

— კი მაგრამ, ძვირფასო, ამას ხომ ნახევარი წელი მაინც დასჭირდება?! სიცოცხლე კი ასე ხანმოკლეა!..

— მართალია, მაგრამ ნახევარი წელი არც ისე ბევრია.

— და ვინ იცის, რა არ მოხდეს ამ ნახევარ წელიწადში?

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა! ხომ შეიძლება...

— შეიძლება ტიბორმაც დაგასწროთ, არა?

— ტიბორმა?! როგორ, ის ხომ ათი წლით უმცროსია თქვენზე?!

— მაგრამ მას ერთი უპირატესობა აქვს!

— რა უპირატესობაა ასეთი?

— მე ის მიყვარს!

უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისურაძემ

პეტერ როზებერი

(გ დ რ)

ოტო ბრუნერს წინ გრძელი გზა ედო. ალპურ საძოვრებზე გავლით ბარში უნდა ჩასულიყო. შინიდან რომ გამოვიდა, ეზოში შეჩერდა და ამინდს დააკვირდა. ჯერ მთებს გახედა, მერე მზერა ხეებზე გადაიტანა, ხოლო ბოლოს, ცა და მზეც რომ შეათვალიერა, თავი გაიქნია და ცოლს გასძახა:

— გრეტა, როგორ ფიქრობ, ხომ არ აჯობებდა ქოლგა წამეღო?

— როგორც გინდა, ოტო! — მიუგო ქალმა.

— მე მგონი, გაწვიმდება, დახუთული ჰაერია, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება ქოლგა წავიყოლო.

— მართალი ხარ, წაიყოლე!

— მაგრამ გზაში ჯობი უფრო მოსახერხებელია. ეგებ კარგი ამინდი დადგეს და ქოლგა ზედმეტ ტვირთად მექცეს. ანდა შეიძლება გადამავიწყდეს კიდეც და სადმე დამრჩეს. არა სჯობია, შინ დავტოვო?

— დატოვე, გეთაყვა.

— მაგრამ რომ გაწვიმდეს? შორი გზა მაქვს, თავშესაფარს ვერსად ვიპოვი, სულ გავილუმპები. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მე მგონი, წაღება სჯობია.

— შენც ადექი და წაიღე!

ოტომ ისევ ყოყმანი დაიწყო და გაიხედ-გამოიხედა.

— მაგრამ გამორიცხული არ არის, ბოლომდე კარგი ამინდი დარჩეს. მსუბუქი ნიავი ქრის. ქოლგას ჯობი მირჩევნია. მოდი, რისკს გავწევ და ქოლგას შინ დავტოვებ.

— კარგი, დატოვე! — მიუგო ცოლმა და ხმაში უკვე მოუთმენლობა შეეპარა.

ოტო უცებ განრისხდა და აყვირდა:

— რას ნიშნავს ეს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში გაიძახი, წაიღე, დატოვე, წაიღე დატოვეო? ვეღარ გავიგე, ხან ისე ამბობ, ხან ასე! მოთმინება გამომელია! სირცხვილი არ არის, რომ დედაკაცები ყოველთვის ასეთი მერყეევები ხართ, არაფერში მტკიცე გადაწყვეტილება არ გაგაჩნიათ?!

გერმანულიდან თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა

პლაკატი გ. ლომბიძისა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №1
(1759). მარტი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე); **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 03.02.88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.03.88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ლენინის 14, შეკვ. 291 უე 04721 ტირაჟი 140000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54. მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42. პ/მგ მდივნის — 93-10-78. მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38. განყოფილებათა გამგეების — 93-49-32. რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38. მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ
ინდექსი 75137

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР